

# მუხტრი სსსრკ

სამთავრო სალიტერ. უკრნალი

კვირა, გირგობისთვის 19, ფასი 30 კაპ.

წელიწადი მეხუთე გამოცემა

ავიერ კაპუხისი



სამინისტრო



დვ. პ. გიგუაძე  
— რედაქტორი, მინისტრი შრომისა  
და გარეშე საქმეთა



აკ. ივ. ჩხენკელი  
მინისტრი შინაგან საქმეთა და ფოსტა-  
ტელეგრაფის

შალ. ვ. მესხიფილი  
მინისტრი იუსტიციისა — კანონ-  
მეტყველებისა

სხვათა სურათები ვერ მოვიპოვეთ, სია მათი იხ. წერილ ამებში



ს ა ლ ე მ ი ს ლ ე ბ ი მ ს ზ ე მ ე ბ ი

**მროვეული კრება** ჩვენი ხალხი მამაპაპიდან მ.აწესრიგობასა და მესვეურს არის შეჩვეული:

ყანის მკაში—მეთაურს, ხენაში—გუთნის დედას, ლხინში—თამადას, ქორწილში—ეჯიბს.

და ყველა მადგანი თავისით კი არ არის მოვლენილი, არამედ ხალხისგან რჩეული.

უამისოდ არც მკასა აქვს ბარაქა, არც გუთანს—აღო, არც ლხინს—წესი, არც ქორწილს—ეშხი.

ამ უამად ჩვენი ქვეყანა კი უპატრონოდ არის მიტოვებული.

მართალია ხალხი თავის თავს მიახდევს, მაგრამ ამ ხალხში იმდენი პარტიაა, იმდენი აზრთახედასხეობაა, რომ ერთი უკან იყურება, მეორე წინ, მესამე გვერდზე, — ერთი გეზი კი არა სისანს.

ქვეყნის ნაყოფიერი და წესიერი ცხოვრებისათვის კი ერთი გარკვეული გეზი და ნათლად აღნიშნული მიზანია საჭირო.

ყველას თვალწინა გვაქვს, უზარმაზარ რუსეთში სწორედ ამ ერთი გეზის უქონლობის გამო, აზრთა და რწმენათა გაორკოფების წყალობით რა არევ-დარევა, რა ბურუსი და მოურეგებლობა.

ანარქია ნთქავს რუსეთს!

ღმერთმა და გვიფაროს ასეთი ანარქიისგან. მაგრამ მარტო ღმერთზე რა მივადლოთ საქმე, ჩვენს ქვეყანას არ ელხინება.

ჩვენის ერს ტრაგედიის უკანასკნელი მოქმედება ამ უამად სწარმოებს:

ორკოფობა გაიმარჯვებს თუ გარკვეული აზროვნება, უცხო გავლენა თუ საკუთარი თვითშეგნება, ბოროტი სული თუ კეთილი ანგელოსი?

როგორც ყოველთვის იყო ხოლმე ჩვენს შორეულ წარსულში, ისტორიულმა ჩარხის ტრიალმა ჩვენი თავის მოეპატრონობის ხვედრი დღესაც ჩვენ მოგვანდო.

მოვეუვლით თუ ვერა ჩვენს თავს? დღეს თბილისში შეიკრიბება საქართველოს ქალაქთა, საზოგადო კულტურულ დაწესებულებათა და სხ. წარმომადგენელთა ეროვნული კრება.

ამ კრებამ უნდა განიხილოს, ვის მიანდოს თავად აზნაურთაგან გადმოცემულ საერო ქონების მოვლა-პატრონობა.

ქართველ თავად აზნაურთა ეს გონივრული ნაბიჯი, სახელდობრ ისა, რომ მთელი თავისი საზოგადო ქონება ქართველ ერს გადასცა, ქართველი ერის შეილება, პარტიულობის განურჩევლად ავლენს—ყოველგვარი კერძო ჯგუფური მიღრეკილება დაივიწყონ და შექმნან ერთი ორგანო—დაწესებულება, რომელიც შეიქმნება ამ საერო ქონების ნამდვილი პატრონ მფარველი, მთელი ერის ნება-სურვილის გამოხატველი, ყოველი პარტიის ნდობით აღჭურვილი და სრულიად საქართველოში უპირატესი გავლენის მქონე.

სიტყვა და გადაწყვეტილება მისი საქართველოს ყოველი ერთგული შვილისათვის ხელშეუვალი კანონი უნდა იყვეს. შეძლება კი დღევნდელი კრება ამისთანა დაწესებულების შედგენას?

ამას შემადგენლობა და შედეგი ვვიჩვენებს.

წუთი მძიმე განცდისაა.

ამ დაწესებულებამ უნდა იკისროს სრულიათ საქართველოს მოვლა—პატრონობა: ა) წესიერების დაცვა-დამყარება, ბ) მეურნეობის გაძლიერება-აყვავება, გ) ქვეყნის ეკონომიური აღორძინება, დ) საყოველთაო სწავლა განალებების შემოღება, გამოსადეგ ცოდნათა მოყვენა სოფლის ნაწინარება ე) ვაჭრობა მრეწველობის წესიერ კალაპოტში ჩაყენება, ვ) ვაჭროს პარტიულ ჯგუფობრიობის დათრგუნვა და უპირველესად საერთო ქართველობის განმტკიცება (რე თქმა უნდა პარტიები შემდეგში უფრო აღორძინდებიან, მაგრამ მათი პარტიულობა ეროვნულობას არ უნდა ჩრდილავდეს) და სხ.



ერთი სიტყვით ჩვენს ერს მრავალი საქმე აქვს გასაკეთებელი, ამისათვის საჭიროა საყოველთაოთ არჩეული გუთნის დედა, თამადა მეთაური.

ხოლო თუ ასეთ მეთაურს დღევანდელი ყრილობა ვერ არჩევს, დროით მოწყვეულ უნდა იქნეს სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრება!

ვისურვით დღევანდელ კრებას ეკისრნოს ეს როლი!

გაუმარჯოს დღევანდელ საქართველოს ეროვნულ კრებას!

იოსებ იმედაშვილი.



# ხეების გლოვა

1

ვაი, შვილებო, შვილებო,  
ფოთლებო, მოკლე ხნისანო,  
დედის მკერდს მოწყვეტილებო,  
მსხვერპლნო უგვენო მტრისანო.

2

ვაი, ჩვენს თვალებს, რას ვხედავთ,  
ქარმა წაგიღოთ ფრიალით;  
სამარის კარი გაგიღოთ,  
ხევს მიგაბარათ ღრიალით.

3

მშვიდობით, სიყმის შვილებო,  
მშვიდობით მშვენნო ტყისანო;  
თქვენ ღაიტრეთ ცვარ-ნამით  
ღრუბელნო მაღალ მთისანო.



# ლექსები სიყვდილში

(ქართულ თავდაზნაუნაშესახებ)

ნეტარება მას, ვინც სიყვდილით გაუკვდავდება!

ასეთი სიყვდილი სწორედ ჩვენს თავდაზნაურობას ეღირსა!

მოკვდა იგი, როგორც წოდება, მაგრამ იცოცხლებს მარადის, როგორც მართლა და კეთილშობილი სულის პატრონი.

საქმებან მისმან ნათელსყო, რომ იგი მხოლოდ სახელით არა ყოფილა თ ა ვ ა დ ი, არამედ საქმიანაც.

დიდმა რევოლუციამ მოსპო ყოველგვარა წოდებრივი განსხვავება, დასამარა ქართველი თავად აზნაურობაც, მაგრამ ამ დასამარებულმა თავისი ქონება სემარეში კი არ ჩაიტანა, არამედ მთელ ქართველ ერს უანდრძობ.

თითქმის ორმოც და ათი მილიონ მანათის ქონება, ქართულ საზოგადო-ს-განმანათლებლო დაწესებულებათა მასწარლოებელი წყარო, მშობელ ერს, ქართველ ხალხს დაუტოვა. ეს ამბავი მოხდა გასულ კვირებში.

თავდაზნაურთა წინამძღოლმა კ. ნ. აფხაზმა ეს ცნობა სიგანგებოდ მოწყვეულ კრებაზე საქვეყნოდ გამოაცხადა.

თავდაზნაურთა მთელი საზოგადო ქონება სრულიად საქართველოს ავტონომიის, რაკო თავდაზნაურობა, როგორც წოდება, მოკვდა!

მოკვდა ისე, როგორც ძველ ნამდვილ ქართველ მამულიშვილის შთამომავალს შეგუფრის!

ძველი ქართველი ბრძოლ ა ვ ე ლ ბ ე რ ო სასიყვდილოდ გაიგმირებოდა ხოლმე, უკანასკნელად ამოიძახებდა:

—გაუმარჯოს საყვარელ სამშობლო — საქართველოსო!

დიღ, ამავე რწმენით მოკვდა დაღეს ჩენი თავდაზნაურობა:

—გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლო-საქართველოს და მის მომავალ ღვარველ ხალხს — დემოკრატისო!



სანატრელია ასეთი სიკვდილი!  
 მოკვდე და გაუკვდავდე!  
 განა ამაზე ლამაზი კიდევ იქნება რამე!  
 მოკვდა ქართველ თევდიზნაურობის სხე-  
 ული—გაუმარჯოს მის სულს, როგორც ქარ-  
 თველი ერის—მთელი ხალხის—განუყოფელ  
 ნაწილს!..

თისკა არამთავალი

### სხენის პრტი ნაკლთაგანი

ჩენი სცენის ბეგრს ნაკლულოვანება-  
 სთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ,  
 რომელიც აუცილებლობა უნდა ავიცილოთ:  
 ეს არის წარმოდგენის გათავების შეზღვევ  
 მსახიობების გამოსვლა სცენაზე იმავე გრამე-  
 შში და მისაღებება.

წარმოიდგინე, მკითხველო, რომ შენ  
 უყურებ დრამას, სადაც ორი გმირი, სხვა და  
 იღვით გატაცებულნი, ებრძვიან ერთმანეთს  
 და ბოლოს ორივე იღუპება.

შენ ისე ხარ გატაცებული მათი თამაშით,  
 რომ გავიწყდება კიდევაც შენი თეატრში  
 ყოფნა.

შენც განიცდი მათს სულეერ დრამას.  
 აი თავდება პიესა, ეშვება ფარდა.

გაისმის ტაში—ვაშა. ფარდა აიხლება ჩენი  
 ნაცნობნი და დადლებულნი\* გმირნი ღიმი-  
 ლით და თავის დაკვრით ესალმებიან საზოგა-  
 დოებას.

აქ ილუზია სრულიათ იკარხება.

ჩვენ ჟურნალში გრა ერთხელ აღნიშნუ-  
 ლა ეს ნაკლი.

ჩვენმა ნიჭერმა რეჟ სორმა ა. წუწუნა-  
 ვამ ამ ნაკლს ყურადღება მიჰაქცია და შეეცა-  
 და მის მოსპობას.

ძალიან კარგი იქნება, რომ ჩვენმა რე-  
 ჟისორებმა ვ. შალიკაშვილმა და კ. შათირი-  
 შვილმა მიჰაქციონ ამას ყურადღება და აჰყე-  
 თონ.

ამითი ჩენი სცენა ბეგრს მოიგებს.

ამას მოითხოვს ხალ დროის შექმნილი  
 სამხატვრო სკოლა.

სე. წერეთელი

## შემოდგომის სტრიქონები

მ ი ც ვ ლ ი ლ ი ბ უ ნ ე ბ ა .

გულსაკლავად სისინებს შემოდგომის ქარი!  
 გაშვებულნი დაჰქრის და სიცოცხლეს  
 ართმევს ყოველივეს.

დაუტყობლად ღრიალებს ის და შეუბ-  
 რად ებლად აწიშვლებს ფერად სამოსლით შე-  
 მოსილ ქვეყანას.

გაცარცული ხეები ცრემლებად იღვრე-  
 ბიან!

ბრაზმორცული ქარი ძირიან-ფესვიანად  
 არყევს და ტოტებს უმტვრევს მათ.

მოყვითალო ფოთლები ერთმანეთში ირე-  
 ვიან და უკანასკნელად მღერიან გამოსახო-  
 ვარ ჰიშნს.

მათი მესაფლავე შემოდგომის ქარი, გა-  
 ხარებული გამარჯვებით ძღვევა-მოსილად  
 სისინებს და სადაც მიერეკება უსიცოცხლო  
 ფოთლებს.

მთის თხემებში-კა აქა-იქ ჩამალულნი ნაფ-  
 ლეთ-ნაფლეთად დაგლეჯილი ღრუბლები.

ისინც-კი გაუბრბინ. ისინც-კი ემაღები-  
 ან ცოფ-მორეულ შემოდგომის ქბრს.

აღღრეულ ცაზე ნაწყვეტ ნაწყვეტად მი-  
 დი-მოღან შავი ღრუბლები.

შემოდგომის ქარი თავის დავლურზე ათა-  
 მაშებს მათ.

ბრწყინვალე მუსეაცდიკარგვია სიცო-  
 ვედე. მის თითოე ეჯვარება გაცარცენილი,  
 ერთფეროვანი ქვეყანა და პირს არიდებს მის  
 გვიან ამოდის და ისევ მიღე ჩაღის.

ღრუბლებს ამოფარებული აჩქარებულად  
 მისრიალებს დასავლეთისკენ.

და მხოლოდ ხანდისხან ქურდულად თუ  
 ჩამოიხედავს დაბლა.

მშვენიერი ტყე თანდათან შიშვლდება.  
 ცარიელდება.

მისი მზიარული სტუმრები არა სჩანან. წა-  
 სულან.

მათ ნაცვლად ყვავ-ყორები დაჰპატრო-  
 ნები მას.

ღმის მგოსანი აღარა სტვენს ჯადოსნურად.  
ის საღლაღ გადაკარგულა!  
მის მავიერ ბუ გაჰკივის!  
მისი კვილი სევდის ისრებით სერავს სუ-  
ლსა და გულს.

აქა იქ, ხეებზე შერჩენილი ფოთლები  
მომაკვდავის ხმით ხრიალებენ.

მათ-ღ დაუდგათ უკანასკნელი წამი,  
ო, როგორ დაცალიერდა! როგორ გაშიშვლ-  
და ქვეყანა!

შემოდგომის ქარი მაინც არ ღვება,  
ისევ გულსაკლავათ სისინებს. დრიალებს

**ჩემი ბალი.**

განთიადისას ბაღში ჩავედი და ჩვეულ-  
ბრივით პირველად ყვავილებს მივესალმე.

უკანასკნელში ყვავილმა დამიხარა თავი  
და ისიც დაიშალა, გაიტყვალა!

და გავერანდა! გატიოლდა ჩემი ბალი!  
ისამანის შიშველ ბუჩქიდან ზანტათ  
ფერინდა ვებერთელა, უღამაზო ფრინველი  
და ყრუ ძახილით თავზე გადამიფრინდა.

ერთგვარმა შიშმა დამიარა ტანში.

ეს რა უმსგავსი ფრინველი შემოჩვევია  
ჩემ ბალს. აქ ხომ მხოლოდ ბუღბუღი ჰფერნდა!  
წვილილულულე ელდა ნაკრავმა და ბლიც და-  
ვტოვე.

**ს ა ლ ა მ უ რ ი**

მთის ფერღობზე ვიწროთ გაეშალა ფარა მწყემსს  
თითონ ვებერთელა ხის ძირში მიკუნტუ-  
ლიყო და ჯადოსნურით აკენესებდა საღამურს.  
მისი ამები გულში მიფრინდებოდნენ -- და  
მიყურებულ გრძობებს მიშლიდნენ.

ის ხმები ელვასავით აპობდნენ შემოდგო-  
მის ცივ ღამეს.

ღ. შქროდნენ შორს, შორს და ბუნების  
წიაღში ინთქმებოდნენ.

— მითხარი კეთილი მწყემსო, რათ არის  
ასე სევდის მომგვრელი შენი საღამური, იგი  
თითქო შემოდგომის ჰმადებს გულში!

— რათ არ იცი, რომ საღამური თვით  
შემოდგომაა!

იგი მასავით იცრმელება. მასავით კენესის და  
ისევ მასავით ჰგოდებს! მომიგო მწყემსმა და  
აკენესა საღამურა.

**მ შ ვ ი დ ო ბ ი თ ! მ შ ვ ი დ ო ბ ი თ !**

მწუხრათ ღარაზმულიყენენ ფრინველი  
და სამხრეთისაკენ მიჰფრინავდნენ!  
სევდიან ხმაზე გაჰკიოდნენ ისინი!  
შემოდგომის ქარი ველურ მუსიკით ატილებდა  
მათ! თითო ორალა უკან რჩებოდნენ.

თითქო ეძნელებოდათ სხვა ქვეყნათ წა-  
სვლა. სამშობლოს მოშორება,

ყვევ ყორნები გახარებული მოდებოდნენ  
მათ ბარს.

ისინი განუწყვეტლივ ჰკორტინდნენ ისე-  
დაც განაწმებ ტყე მინდორს.

მშვიდობით ღამაზო ფრინველნო! თქვენი  
სამშობლო ისევ ღამაზათ მოიკაშმება. ისევ  
მოირთვება ვარდ—ყვავილებით! მაშინ ეწვე-  
ვით მას.

მანამ კი მშვიდობით... მშვიდობით!..

ლ. ძიძიგურა

**თეატრი და სმკვრევა**

მოხსენება „თეატრი და ცხოვრების“ საღამოსთვის  
1917 წ. ოქტომბრის 9 ქ. თბილისს.

დღეს მინდა გესაუბროთ იმაზედ თუ, ჩემის  
წარმოდგენით, რა როლი აქვს თეატრს ცხოვრებაში  
და თვით ცხოვრება რა როლს ასრულებს თეატრში  
ან უნდა ასრულებდეს.

განსაკუთრებით ჩვენში

მაგრამ, როდესაც ვამბობ ჩვენში, უთუოდ  
უნდა გავისხნოთ, ზერეფეთ მანძი, ჩვენი თეატრის  
წინანდელი ცხოვრება და ისიც გავარკვიო იყო თუ  
არა, გვეძინდა თუ არა წინეთ ჩვენ თეატრალური  
ცხოვრება.

ჩვენი დღევანდელი თეატრი, როგორც ვიცით,  
მეტწმადეკე საუკუნის მეორე ნახევარში იშვა.

სოციალ. დემოკრ. უკანონო შობილიყო, რადგან  
უბრალო ქოხში, საღვინის წიაღში არ შობილა,  
არამედ განანდოვას სასახლის თვალმთქვერ სინა-  
თლეზე გახაილა თვალბობა იმპერატორ ქაის დღემდე  
ჭლებთან ბავშვივით სტირინათნ ვერ დეუაქვდა თუ-  
ტა შენი კარგა სინთა ახდგაო.

მე მომწონს ეს აზრი.

იმას კარდა, რომ დროული ნათქვამია, შევ  
ერთგვარი სიმართლეზე არის და სიმართლეს სომ  
მუდამ ანკარიში უნდა გაუყოთ.

მაინცა და მაინც ჩვენთვის დღეს ცხადია,  
რომ ჩვენი თეატრი თითქმის უწინაბრთა, წინაპარი  
არა ჰქონდა.

თუმცა ამას შესასებად თქმულა ჩვენში ცოტა  
რამ. ბრესლივ და განსაკუთრებით ამ სამთავრო  
წლის წინად, როდესაც სრულად საქართველოს  
სტრუქტურის მიღწევათა ბირველი ურთობა იყო. მაშინ  
გამორჩევა, მეფე არგელს დროს გვექონდა ქართუ-  
ლი. წარმოადგენდა, ავტორმათარგმნელებიც გვე-  
ვდა, მაგ. ვანზე ავღიანშვილი. თვით მაშინველ  
თარგმნილია ბიესა დაბეჭდა ამასწინათ კაც. „საქარ-  
თველი“ — იფიგენია. მაგრამ ჩვენი ისტორიის  
ბურუსში რომ გაჯიხედოთ იქნე მისწინა რაღაც  
საჯარო გამოჩვენებასი, მიმოსთა სახითობანი და  
ამდურქნა. მამა ჩემს, ჩვენი წარსულის კარგა  
ცოდნეს, ნიკო დიდანს ასსოვდა ის წყაროები,  
სცა დასახელებულნი იყვნენ თვით ავტორებიც კი  
ასრუ საჯარო გამოჩვენებათა, მაგ. თამარს დროს  
ვიმეძე ბუღაძისისძე და თვით შავთალიძე. ხასიათი  
თვით ამ გამოჩვენებათა ჩვენი არ ვიცოთ, მაგრამ უნ-  
და ვიფიქროთ, რომ უფრო მასტრებივს წაჯავდა მა-  
თი შინაბრთა და ზოგი იყო ნაშთი კერპობადაც  
მის კაცისა, ზოგიც ქრისტიანებრივი. ამჯერად რამ  
არსებულა 12 საუკ. მინც ეს იმითი მტრებდებო,  
რომ საქართველოს განთქმულ მეფეს დავით აღმა-  
შენებელს ესეთი „სამდურქნა საუშაბათი“ უარის  
და ლაშქრის ბანაკად სასტრუქტურ დღურდადეს. ამ ამ-  
ბავს ჩვენა სხვა მეტაბანებინც იხსენიებენ მხოლოდ  
„სამდურქნა“ მდურა ძეგლად ნიშნავდა თურმე  
არა მარტო იმ შემეცნებას, რაც ესადა მიგვანხა,  
ე. ი. არა მარტო ხმის მუხიკაღურად ბეგრანს,  
ტახტობას, არამედ შირდაშირ თამაშს, ტიპებს,  
ხელსტორი მისერა-მისერას, მამქმელებას.

სამწესობად ეს დარგა ჩვენი წარსულის  
სრულად შეუსწავლელია ცალკურადეს გერას ვიტ-  
ყვით, მხოლოდ ერთი კი ცხადია, რომ ჩვენც  
გვექონდა ძველად — როდესაც საჯარო დღესასწაულები  
კერძო თაყვანისცემილურ თუ ქრისტიანულ ხასიათი-  
სა და იქა გვექონდა საჯარო შესრულება რომელი-  
მე რელიგიურ აქტისა, ან განსორბილება რომელი-  
მე მატაჯითი წმიდათა თუ მითაღვთიერ დმრთ-

თა ცხოვრებინა. ამის ნაშთებს დღესაც შევ-  
დებით სოფლად ჩვენს ცხოვრებაში. მეტრული  
„ალანურობა“, „სტენიერობა“, „ასხურთი“, „მერუს“,  
კახეთში თეთრ გიორგობას თურათ გამოწყობილი  
„მონება“ და მათ შიერ შესწავლებული რელიგი-  
ური აქტი და სხვა ამჯერად ვერ კიდევე შეუსწავლე-  
ლი და გამოუჩვენებელი, მაჩვენებელია ჩვენი ძვე-  
ლიდანვე თეატრალობასა. ამ ნაშთების გასხენე-  
ბით მე მინდა იმსხე მივათითოთ, რომ თუ აღვინებმა  
დაიწინა დმრთის დღესასწაულზე დააშენეს თა-  
ვიანთი თეატრი, ჩვენც ქართველთა მოდემისანი  
თავის დროზე ვეცდებოდით სწორედ ამ გზიდან  
გამოვიყოლიყვით, სწორეთ საჯარო დღესასწაულში  
და გვეწარმოებინა ჩვენი თეატრი და ვინ იცის,  
შეიძლება, მიგვეწინა ჩვენც საწადლისათვის შეი-  
ძლება ჩვენი თეატრი მაშინ უფრო ფასავაშვრე-  
ბული ყოფილიყო, რომ ისტორიის მსწავლეთობის  
დროს ზოგჯერ თუ მომავლ ბირებებს სწავლი არ შეე-  
შადათ და უოკელი ჩვენი ხელოვნური დაწესებულე-  
ბა მის ზრდის დროსივე არ შეგვეჩვენებინათ.

არის კიდევ ერთი საკულისსიზო ნაწივეტი  
დღეს აქამომდე დარჩენილია ჩვენს ცხოვრებაში.  
ეს არის თხის, ესე ვთქვათ, ბიზოვლიანობა. ავისხეთ-  
ში და კახეთშიაც რთველას დროს თამადას თხის  
ტრავს რომ წამაზახურავენ, არ არის ეს თხს, თხის  
ნარევა საკუო დღესასწაულში? მოვეხსენებთ რომ  
ბერძნული სიტუვა ტრავადას თხის ფეხსა ნიშნავს  
და შეიძლება ამ ჩვენს თხისაც რამე ნათესაობა  
ქონდეს ამ ბერძნულ ტრავადასთან. ეს არც ისე  
სასხიდადია. ამას მხოლოდ შესწავლა და გამოკველ-  
ვა უნდა.

და იმ ამჯერად ისტორიულ მოვთხებათა ნა-  
ფიქრებისაგან შეიძლება მომავალში შესდგეს  
მიუღი მტრანც ჩვენი უოფის და კარდასრულის  
თეატრალობისა.

თუმცა ჩვენი, ქართველებს თეატრალობა სხვა  
ფრთხილად შეგვეცავის.

ამა შესხედეთ დასაყვეოთ საქართველოს შეიღს  
მეტრელს, გურულს, იმერულს. რა გინდ უბრალ-  
ზრდილი იყოს, მაინც მუდამ ბოზში დგას.  
თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მისი  
მისფრთა მისერას მარჯვად, მოკვდილი, სწარტო და  
ამიტომაც თავისკურთხო მისტრული. ტრანის მოდუნე-  
ბას, სხუდის მთქლას, უხერხულ მიხერა-მისერას

თქვენ მხოლოდ ინტელიგენტს თუ შეაჩინეთ, ისე კი ხალხი, დემოსი, ნამდვილი ბუნების შეილი კინკისია და ტურფა. ესეც ერთი მხარე თეატრალისა — ხალხური.

ესაა აიღეთ მთიულის ჯანაყა. ერთა და კბილები მოჭერდა მისი დიქცია, მაგრამ რამდენი უმეშეო ხათასია მის თქმაში, მისი ხმის აბგურებაში. მთიული ჭერ კიდევ თითქმის თამარის

დროის ქართული ჯანაყობს და სოციალურ შემწეულია როცა ქველ ქართულს თავისი დიანაზონით ზეაწეული კილო აქვს მასხადამეერთ-გვარი ხათასი რომელიც შეიძლება დღევანდელ გერმანიულს არა ჰგავს, მაგრამ თავისებურებაა კი ბევრი ახლავს ესეც მთიული მხარე თეატრალისა-დეკლამაციური.

შალვა ლალიანი





ნ. სულხანიშვილი

კომპოზიტორი, „პატარა კახის“  
ავტორი, სასულიერო საგალობ-  
ლები დასწერა და კირიონ კათა-  
ლიკოსს მიართვეა



ნ. შიუჯაშვილი

მისი პიესის „სულელი“ს წარ-  
მოდგენი გამო ქართულ კლუ-  
ბის სცენაზე



ნ. ქართველიშვილი

თბილისის სახელმწიფო თეატ-  
რის კომისრად არჩეული.

## ქორწილში

ცელქ დედოფალს მიართვეს ღვინო ოქროს სინითა,  
ყველა მას შესცქერო და, თითქოს შესარცხვენად,  
თამადამ არ აცალა, ხელთ იტაცა ხელადა,  
კაბა დაულაქავე ჩვენს დედოფალს ღვინითა!

დედოფალს მოეწყინა ქეფით ჯა ლბინითა,  
თამაშობა მოუნდა კიანურის ხმაზედა  
და თამადა პატარძლის ეშხ ნაკრავი ჟინითა,  
მის ჯადოსნურ თამაშზე შეიშალა ჭკვაზედა!

მეფემ იჭვი აიღო, უარი სთქვა სმაზედა  
(აღგება და გაივლის გარედ აივანზედა).

თამადა ჟინიანობს, მეფე იჭვით ივსება,  
აკენესებენ კიანურს, დიპლიპიტოც აპყება,  
მეფე იხმობს, დედოფალს, დედოფალი არ ჰყვება...

მოქანცული თამაშით, ძირს ეშვება ნაზადა,  
გული მისდის დედოფალს, წყალს ასხურებს თამადა!  
მეფე მოხუცებული იჭვით გახდა ავადა!

დედოფალი მობრუნდა, სუსტია ფერ-წასული.—  
თამადას კვლავ ღვინო სურს, მაყრებს დაძინებითა...

დედოფალი თამადას ჩუმიად სადღაც გაპყვება...  
ჯიანური ქეფითინებძ, დიპლიპიტო თან ჰყვება!...

გაფსო ფშაგელი



მომღერალი  
ვარდენ ლორთქიფანიძე  
შარტი ლ გუდიაშვილისა

## მ ე ო რ ე ღ მ ო ს ვ ლ ა

(გაგრძელება იხ. „თ. და“ № 42)

ტაჭ. ჩემთვის ყველა ერთია. ეხლა სოა ციალიზმის კარზე ვართ მიმდგარნი და შენ კი ღირსებაზე მგლაპარაკები. ეხლა კახეთისკენ, შეიძლება ერთი კვირა დამიგვიანდეს.

დაჭ. კახეთში, რა გინდა გენაცვალოს დედა ტაჭ. საპროპოგანტოლს თუ მიკითხეს აგრე გადაეცო. ნახვამდინ.

დაჭყფ. შეილო, თქვენ სინახვიდ ჩამოვე-  
ლით, გვინდა რომ წაგიყვანოთ და შენ კი გა-  
გვირბიხარ. ეხლა ვინ არ არის ხბლთაობის,  
აგრამ მშობლები კი არ დაგიწყნია.

ტაჭ. არა დედა დედაჩემო, ძალიან მიყვარ-  
ხართ, მაგრამ ყველაზე უფრო იდეა მიყვარს,  
მაგითი ევოცხლობ და მაგისტვისი მოვეყდები

ეგ იდეა მეძაძის, რომ პროვინციაში წავიდდე  
დახალხში სინათლე შევაშუქო. ჯერ ჩემთვის  
დასვენების დრო არ არის! (შიდის.)

ფუარ. ჯანდაბას წასულხარ და აღარ და-  
ბრუნებულხარ. ყველასი შვილი ხარ შენა  
და ჩემი კი არა. (დარეჯანს სტიჩის.)

თაშ. ეს, დედა ჩემო, რა გატირებს? ტა-  
რიელი ჩქარა დაბრუნდება, შეიძლება ერთი  
კვირეც არ დარჩეს... აი მოსწიე თამბაქო!

დაჭყფ. ქა! შე რაღა გემართება. ვისათხო-  
ვარი ქალი და პაპიროსი? რომ შეგიტყოს ვინ-  
მემ ვინ შეგირთავს?

ფუარს. ვა! ქალიც გამოიყდა?! ეგ პაპი-  
როსი რა არის, სადაური პატროსნებაა?



თამ. ეხ, შამანგო! ხომ იცი ნათქვამია დრონი მეფობენო! რაც წინათ უბატონსობა იყო —ებლა პატრონობად გადაიქცა. წამოდი დედა, კლუბში წაგიყვანო, რას მისჩგრებიხარ ბებრუტუნა ქმარს, იქ ლოტო, მუსიკა, რუსული ოპერა... მერე ვახაია, გადაცნობ ჩემ ნაცნობებს, ერთი შენი ხნის ამხანაგი მყავდა ის უნდა გაგჩინო კავალრათ.

ღარგუჲ. ქა რა დროს ეგენია შეილო?

ღუარ. არა, ეგ რომ მიგყავს, მე არა მკითხავ? თამ. ეხლა ქალ-ვათა თანასწორობაა.

ქალს შეუძლია თავის ქუეთი იაროს და იცხოვროს.

ღუარ. მოიკა გოგო! ქვეყანა გაავრთეთ ჩემ დედაკაცს ნუ გამოვირთებთ მაინც! წადი დემურს დამიძახე, მამა ჩამოვიდა და ფულითქო!

თამ. მამა! დემური ფულს არ იძლევა!

ღუარ. რაიო? როგორ ბედავს?

თამ. „დეისტეფი არმიანო“ ვიარცხებო და ფულს ომის შემდეგ მოგცემო, სასამართლოშიც გამართლა.

ღუარ. —ღარეჯანი გესმის? ვა! ხომ არ დამუნჯდი, დედა კაცო! რატომ არაფერს არ ამბობ იქნება სიზმარში ვარ გაპაღვიძეთ მაინც.

თამ. წავიდეთ, დედა, მე შენ ბროპაგანდის ჯობას გასწავლი, სოფელში რომ წაგალოთ, გლეხებს უქადაგებთ სოციალიზმს.

ღარგუჲ. არა შეილო შენ წადი, მე დავილალი, ნამგზავრი ვარ. ჩქარა კი დაბრუნდი, ხომ იცი არეული დროა.

თამ. (შიდის ლუარსაბო განუწყუქტავი ეძახის) ალექსის. (

ღარ. რამ გადაგრია აღმაინო,! მოსვენე იქნება ისაუზმო!

ღუარსაბ. გასწით. დამეკარგეთ! (ღარგუჲანი შიდის, შემადის ალექსი.)

ღუარ. სად დიკარგე ბიჭო.

ალექ. ზაბასტოკვა გახლავთ ბატონო!

ღუარ. რაიო?

ალექსი. ლაქია პოეტების ზაბასტოკვაა. აგრე ამბობენ: თუ მეგზოვეებს მოუმატეს ჯამაგირიო, ჩვენც მუშები არა ვართო? თორმეტი თუმანი თვეში, თუ გაჭირდა საქმე და გახდი ავად, ხაზინის ხარჯზე უნდა იწამლო,

კვირეში ერთხელ სტუმრობა ჩვენ გვმართებს ეს გასტრნია უნდა დავგიომო. ალექსა წი არა ალექსი მალხაზჩი უნდა დამაძახოთ და ბევრი სხვა. თუ ამგებს ამისრულებთ ვინახებრებთ თუ არა და ავრე უნდა ვიყო სულ (ხამოჯდება) არც გეინძრეო, არც გიგონოო, არც იმსახუროო და იყავიო ასე გაჭვავებულიო. (ღუარსაბი მისჩგრება ალექსის) რას მიყურებთ ლუარსაბ რევახა, არ მიცნობთ?

ღუარ. ბიჭო შე რაღა გინდა ჩემგან? უბატრონო ვირს ყველა შეიჯგუთი ზურგდა? აი თქვენ შემნებულ ქვეყანას კი რა ვლთხარ? ბიჭო, ამდენს რომ მთხოვ, არა მკითხავ, მაქს თუ არა შემღებ? იქნება ღარიბი ვარ.

ალექ. არა ბატონო ბანკში გაქვთ შენახული! თქვენზე ამბობენ, ძალინ მდიდარიო!

ღუარ. შე ყურუსალო, ბანკში თუ მაქვს, შენთვის ხომ არ წამირთმევი? ჩემი ოფლით შემენილი არ არის? წადი, მომშორდი, შარზე ხომ არა ხარ შენც! აღარ მისილხარ.

ალექ. თუ ხაზინმა უმიზეზოთ დავითხოვაო, სამი თვის ჯამაგირი უნდა მოგცესო, ლუარსაბ. წადი ბიჭო, თორემ გოროდოვოის დაუძახებ.

ალექ. გარადოვები აღარ გახლავთ. ეხლა მალიცაა, სულ ჩემისთანა ბიჭები არიან შიგ.

ღუარ. შენისთანები თუა, აი ამენდა მილიცია. დამეკარგე აქედან.

ალექსი. სამი თვის ჯამაგირი მომე და წავალ ღუარ. (გადგობუღლი) მე შენ მოგცემ ჯამაგირს (ესმოუგებს ხანჯაფს) არც ეხლა წახვალ, შე ყურუსალო!

ალექსი. (შემიხებუღლი) ვიმიე წმინდა ესტატე, შენ გადამაჩინე სიკვდილს! (გარბის.)

ღუარს. ვა! თქვენი ჰირივე, რას მოვესწარიოთ? ნამდვილად მეორეთ მოსვლია, რაღა!

(ფარდა)

სემონ წერეთელი

(შემდეგი იქნება)



### ჩვენი უმჯობესი დღეები

ფილარმონიულ საზოგადოების კრებაზედ.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ მუშების უმრავლესობა ეროვნულ იდეას უფრუობით უყურებს. მუშები ამბობენ: ეროვნულ იდეისკენ არისტოკრატები მოგვიწოდებენ და ისინი კი ჩვენთვის კარგს არას მოინდომებენო.

ასეთი შეხედულება ეროვნულ საკითხს შესახებ თუ შეეცდარია, ზოგიერთ შემთხვევაში იგი არ ყოფილა სიმართლეს მოკლებული. თითო ოროლას გარდა, მომეტებული ნაწილიმ საზოგადოებისა, ამ შეხედულებას სასენებით ამართლებს. ერის ტკივილებს ეს ნაწილი იმდენად აზიარებს, რომ ფენადც ეს მის ინტერესებსაც შეეხება. ამის დამამტკიცებელ საბუთს მე-ფთლუჭურ ადვილად შეაჩვენებს მაშინ, როდესაც ეს ხალხი სიტყვიდან საქმეზე გადადის. წარსულ დღეებში ფილარმონიულ საზოგადოების ჰქონდა კრება, სადაც სსენებულ მუშების შეხედულება რაოდენათმე დამტკიცდა. კრებას განზრახული ქონდა სიკოგადოების რეორგანიზაცია სწოლის ნაციონალიზაცია, მაგრამ სსენებულ საზოგადოების უმრავლესობა სრულგებით არ იღვა იმ თვალსაზრისზე, რომელსაც კერძოთ ეს ხალხი ჩემულობს, არც სკოლის გაეროვნულება და არც ერის ინტერესები კრების უმრავლესობას არ ასულდგმულებდა. არა თანხმობითი მოქმედება და აურზაური, აი რა ახასიათებდა საზოგადოების კრებას.

რატომ ხდებოდა ასრე? ან რა იყო უთანხმოების მიზეზი?

მიზეზი გახლდათ არა დაუდევრობა და გულგრილობა, არამედ შეგნებულათ გვერდის ახვევა იმ საკითხებზე, რაიცა სულიერ მოთხოვნილებას შეადგენს.

კრებას უმცირესობა მომხრე საზოგადოების გაეროვნებისა და გახალხოსნებისა, იგი გამოდიოდა ეროვნულ იდეის საღ შეხედულებიდან, კრების უმრავლესობის სულის კვეთებიდან-კი გამოსვიოდა გარზობის გადაგვარება და ამიტომ მათი სურვილებაც გამომდინარეობდა ევროპიული მუსიკის სიყვარულიდან, რის გამო უმრავლესობა კრებისა მომხრე ჩანდა საზოგადოებია ძველი მოღვეწეობისა. ასეთ სხვა და სხვა მიზნათ შეხედულებიდან წარმოსდგა სხვა და სხვა ნათი ტაქტიკა და მიმდინარეობა, რამაც ხელი შეუწყო კრებაზე უთანხმოებას თავი ეჩინა, ვინაიდან არისტოკრატული ნაწილის მიდრეკილება არ იყო პრინციპიალურად ეროვნული მიდრეკილება, რომელსაც, უეჭველად ანტი-ეროვნული შედეგი მოჰყვებოდა. ამიტომ კრების დემოკრატიულმა ნაწილმა კრება დემონსტრატულად დასტოვა.

ამ გვარად საზოგადოების არისტოკრატულ ნაწილს საშუალება მიეცა ერის სულიერი მოთხოვნილება კვლავ თავის სულიერ მოთხოვნილებისთვის დაეჭვემდებარებინა.

აი, საქმე, რომელიც მუშებსა ზემო-სსენებულ შეხედულებას ამართლებს.

ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ხალის-დე-მოკრატის იმ ნაწილს, რომელსაც მიზნათ ერის გადაგვარებასთან ბრძოლა დაუსახავს ჩვეწეროს სსენებულ საზოგადოებაში წევრად და როცა შესაძლებელი იქნება, აიძულოს იგი ემსახუროს ერს და არა იმ ადამიანებს, რომელნიც სიტყვით ერს ემსახურებთან, საქმიანთათვიანთ თავის.

მუშა მის, დეგაძე



## ს მ უ ლ ქ ლ

## 1

—ნათლის ჯაღობო შენი ბიჭი ქალაქი-  
 დან მოვიდა, ახალი ამბავი რა მოიტანა? გაზა-  
 თი ხომ არა გამოსულარა.

—როგორ არა, შენი ჰირიმე, ე გაზეთი  
 ხომ ტყუილია. ერთი ხელის გულის ტელა  
 დეპეშა გამოსულა, თითონ ჩემ ბიჭს უნახავს.  
 იქა წერებულა: დაფუძუნებულმა კრებაზე უნდა  
 გადაწყვიტოს ყველაფერიო. მაშინ გავიგებთ,  
 ვისაც დავრჩებითო.

—იჰ, ქა, ნეტა არ იქნება ახალ თაობის  
 ხალხმა გაიმარჯვოს, თორემ თქვენი შტერი,  
 ჩვენ დღე დაგვადგეს. ჩვენებიანთ სესელა  
 წინათ თუ მამასახლისათ იყო, შეიძლება ახ-  
 ლა რა გაიმარჯონ, უწინაშე დღე დაღვიობ,  
 „პრიტავათ“ დაგვიყენონ.

## 2

—მაწავლებლო, რომელ პარტიის უნდა  
 მივცეთ ხმაი, რომელი ნომერია ჩვენი ნომერი?

—მეთექვსმეტე.

—რა ვქნა აკი ბირველიო?!

—გვ ქალაქის მუშებისაა, თქვენი კი შე-  
 თექვსმეტეა.

—მოდი შენა და ყველას სიტყვა დაიჯერე:  
 ნიკომა სთქვა მეექვსეაო, სამსონია—მჭრევაო,  
 სტეფანემ—მეხუთეაო. ე შევიღოსა, ლამის ისე  
 გაგვიხადონ საქმე, რომ ხმა არც ერთს არ  
 მივცეთ.

## 3

—შენ რომელ პარტიას აძლევ ხმას პეტრე?

—მე, შენი ჰირიმე, გომართელს ვაძლევ  
 ხმასა. ჩემი ბიჭი შიკითხავს ხოლმე იმის გაზე-  
 თსა. ძალიან მომწონს, ასე გონია ჩვენ გულ-  
 ში შეჯდარა და ისე უწერია სუყველაფერიო.

—ის რომ არ არის შატანილი სიაში.

—აღზად იქაც რამე ვშმაკობაა, თორემ  
 იმაზე კარვად რომელნი ნასწავლმა იცის  
 ჩვენ კარ-ვარაში.

მუშა საქარაა ვეშა-სანდაკელი



ანასტასია ზოტაიაშვილი — მინიონის

მისი შვილი ნიკოლოზი

დუინობისთვის 12 მოულოდნელად გარდაიცვალა ანასტასია ზოტაიაშვილი — გენერლისა, აღმასრულებელი მდივანი და ყოფილი გენერალ-მაიორი.

ანასტასია იყო ძველი მოქალაქე და მასთან დიდი მოყვარული თავისი სამშობლოსა და ერისა.

ქმარი მისი მინიონი ნიკოლოზის ძე გენერალი, ათაშვილი იყო ვერძელი, ხოლო წინა დროს იყო მთავარი მისი განმარტების საქართველოში თავისი ოჯახიდან. ბატონი მისი გული ისე შეეფარა ქართველებს, რომ ორი წლის შემდეგ ვერძის სქესზე გადავიდა იგი თავისი ენაზე დასაბრუნებლად. დავაგაბუაშვილი იგი მესამე იყო. უოველ თავისუფალ დროს ბატონებმა ქართველებთან, დადიანებთან ერთად დაეხმარებინათ და დაიბრუნებინათ უოველ შემდეგ დაეხმარებინათ თავისი შეგარებულნი ერთად თუშეთში ჯერ კიდევ მისი დროს დაეხმარებინათ მართლმადიდებელი სარწმუნოებას.

ანასტასია 17 წლისა იყო, როდესაც მინიონი 20 წლის ვაჟი იყო, მას შორის მისი შვილი ნიკოლოზის სობორში, აღმოსავლეთი მხარე დაეხმარა, დიდი მოხალისე, სახელი ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე შინაგულზე მოყვანილნი სანთლის დანთება. ამ დღიდან გადსწვებულნი მ. გენერლისა ანასტასიას ცოლად შეირთა და კიდევ ცოლი მინიონისა იყო დროს ბორჯომში მყოფი დიდის მთავრის ნიკოლოზ მინიონის ძის სკოლის დადებით.


განსვენებულია ანასტასია მამაკაცი სხვადასხვა ადგილებში ცხოვრებით შეიწვლია აღმოსავლეთი მხარეები და ბევრს ამისთანა საზოგადოებაში, სადაც არ იტოვებენ ვინაობა და ცუდად იხსენიებდნენ ან 'მტარებდნენ ქართველ ხალხს, ის შედგება იტყუება და უსარჩებლად თავისი ერისა მან ერთ დროს ვერძის შვილი მართლმადიდებლის მოყვარულად წრე და შეიქცა იგი თავისი იტყუება მინიონისა.

უბრუნებულა მან დროს სახელი, რომელიც წინა დროს, გამოესალმა წითლისთვის, დაინახა ქვერილი და ითხრო შეიქცა. ერთი მისი უფროსი ვაჟი იყო, რომელიც ხარისხში ახლა ბრძოლის ვეჯდება.

ისიც ნამდვილი ქართველურის გულით იტყუება თავისი ერის, ქართველის სახელს და შეუხედავად მისი, რომ ორჯულია დატოვებული მინიონის ვაჟი იყო ან რომ საქართველო აუბრუნებელი უფროსი სტალინიდან რითიმე დასაბრუნებდა მას. მისმა მუხლზე მისივე გენერლისა განსვენებულია ბრძოლის და სახელის აღსანიშნავად შეიწვლია ქართველი უნაგერის ბრძოლის სუთისი მინიონის სწავლად იყო სხვენება შენი ძვირფასო და მადლიანი დამიანო ანასტასია!

მო შედგამდა





დავით უღუმაშვილი, ხაშშილი გლეხი—ჯარის  
 კაცი ბძალის ველზე ორბერ დაჭრილი გარდაიც

## მშვიდობით მთვარე

(ბრძოლის ველიდან)

იენისის პირველიდან მეცხრამდე ჯარი  
 გამაღებით მუშაობდა. თხრიდნენ სანგრებს,  
 სდგამდნენ ზარბაზნებს მოხერხებულ ადგილებ-  
 ზედ, ვაჟყავდათ მავთულის ხლართები ადგილე-  
 ზის გასამაგრებლად, აგებდნენ მიწის სანგრებს  
 კარებს დასაბანაკებლად და ერთ დიდ მზადე-  
 ბაში რყენენ, რათა მტერს მტრულად შეხვე-  
 დროდნენ და ღირსეული პასუხი გაცვათ. მზა-  
 დებს რომ მორჩნენ, რადგან მტერი არ გამო-  
 ჩენილიყო, დაღლილ დაქანცულნი მხედრები  
 მოსვენებას მიეცნენ.

დიდებული დამე იყო. ცის ლაქვარ-  
 დ ოკენე ვულ-წარმტაცი სანახავი იყო.  
 ვერცხლის ცუცხლის თვლები, მგზნებარე  
 ვარსკვლავები, საოცნებოდ მომიზილავ ზესკნ-  
 ელს და ყველა მნახველს ზეღამაჟრენ ფრთებს  
 ასხამდნენ ზეცისადმი. ვარსკვლავთა შორის  
 დიდი ნათელი, მეფეთა მეფე დამისა, სხივ  
 ასბულ პორფირით მონარარე მიუწლომელ  
 ცით გაშლილი სახით დაჰქაქათებდა ქვე-  
 ყანას და თვის უმანკო სხივთა ჩანჩქერით  
 უზვდა რწყავდა არე-მარგს.

სამხედრო ბანაკი ვერცხლის დამეში თე-  
 თრი კარვებით გადაშლილ-გადაპნტილი,  
 ცხვრის მოძრავ ფანას მოგაგონებდა.  
 ქარს ებინა სამარებრივი დუმილი იყო გამე-  
 ფებული მღუმარებას, დარაჯთა ნელი ნაზი-  
 ჯი, ცხენთა ხანგამოშვებითი ფხუტუნ-ხე-  
 ხენი რა მინდვრის მწერ-კალმებთა სტყენა  
 წივილი არღვედა.

მთვარე თანდათან გადადიოდა. ოსმალე-  
 თის უზარმაზარი მთებას ჩრდილები, საამურად  
 იშლებოდა გორგებზე და ვით ოცნება ღეფო  
 სრიალით ველმინდერებს ეფინებოდა.

ნაშუალამეცის ორი საათი იქნებოდა.

ამ დროს, როდესაც დაღლილ-დაქანცულნი  
 მრმა ძილში იყვნენ და ისვენებდნენ, შტაბი-  
 დან ბრძანება მოვიდა;,, თათრები მოდან,  
 დაუყოვნებლივ სანგრებში ჩადითო! " ბრძანება  
 ელვის სისწრაფით მთელ ბანაკს მოვლამიუ-  
 ხედავთ დაღლილობისა. ცარა სასწრაფოდ  
 აიშალა კარვებიდან და თვალ-წამს ფეხზე წა-  
 მოდგა. მხედრებმა საქაროთ თოფები აიხსნე.  
 აღიკურენენ იარაღებით და სანგრებისაკენ  
 გასწიეს, რომელაც ბანაკიდან ვერს ნახევარ  
 მანძილით იყო დაშორებული.

აჰა მიახწიეს სანგრებს, ბრძოლის ადგილს,  
 სადაც მრავალი მათგანის სისხლი ღნდა და-  
 ვრილიყო, დაუბრუნებელი სიცოცხლე უნდა  
 დაღულოიყო.

მთვარე კი ჰქაქათებდა ლაღათ, მშვენი-  
 ვეთათ, უზვით ფუქქემდა ნათელსა. თვითველ  
 ათგანს თვალ-წინ აღმართა სიკვდილს საშა-  
 ნელი ბნელ აჩრდილი. საოთიეთულოდ ჩაუდგა  
 მებრძოლთ კვალში სულთავნხუთავი და კვალ  
 და კვალ გაუძღვა წინ. მხედრებმა იგრძნეს  
 იკვდილის მოახლოება. მოაგონდათ თავისი  
 წარსული. მოაგონდა სახლი, კარა, დედა-მამა,  
 ცოლი, შვილი. მოაგონდნათ ყველა ამ მო-



გონებამ საყვარელი და ძვირფასი სიცოცხლე დაუფასებელ თაღულათ წარმოუდგინათვალწინ. უყუარდათ, ამ მოგონებით ქვეყნად ედგა და დაღუპულა. გაეხსნათ გული მთვარის ჯადოსნურ ნათელში. მოიხილუნ დიდებული ღამით, დაენათ სასიკვდილოდ წინ გაწევა, მგრამ ბრძანებამ და მივაღვრებამ სძლია გმირები და სიკვდილის აზრთილებით გასწიეს წინ.

მთვარის საყვარელ ნათელს, რომელიც ყოველ ახალგაზრდას გულში მხოლოდ სიყვარულსა და საწარმის აღივებებს, უკანასკნელად შეხედეს თვალზე აღპყრობილთა და სასოებით შესძახეს, მშვიდობით მთვარეე, ჩვენ ჩაგრულთ გულს სიყვარულით აღარ ააღვებ მთვარეე, ხელ ჩვენთვის აღარ ამოხვად მთვარეე! - შეძალადეს ნაღვლიანის ხმით საყვარელ მთვარეს და სანგრძობა ჩავიდენ.

მტრის მხრიდან მოისმა თოფების გრიალი მამაკა ჯარმა მამაკურად ჭბასუხა მტერს. გაცხარდა ბრძოლა ორთავე მხარეს, ტყვი წაშლის ბულმა ჰაერი შავთ შედებ. ორთავე მხარეს ტყვიები სეტყვისავით ცვიოდნენ.

განთიადმა მოახწია. ვარსკვლავებმა ქრობა იწყეს. ფერ დაკარგული ვთვარე, თითქო ამ სანახაობით შერტყევილი ღრუბლებში მიიპლა. გავიკრავდა. დაირუხრუხა ზარბაზნებმა. ქვეყნიერება შეინძრა. ჰაერი შეიძრა. ღრუბლები აირივნენ, გაფრენდა. დღის ნივთა ბრძოლის ველს თავზე დადაუქროლა, დაქრილთ დაკოდილთ კენესა, სასოწარკვეთილი ოხერა მომაკეთაგან გაიტაცა და ქვეყნის საცნობლად წილა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბრძოლა შესწყდა. სროლა შეიქრდა. ბრძოლის ველი სანახად სანახაობათ გადიწადა. სანდლები და მის ახლოს ყველა იღვლილები ღირსეულ შეიღების გვამებთ მოფარულ იყო.

როცა მზე ამოვიდა, მისი უმანკო სხივები ვით უმანკო სულთ სამშობლოს გმირთა გვაგებს ღირსეულათ დაადგა თავს და წმინდა ზეციური ამბორი უყო თავდადებულთ ბრძოლის ველზე ეგგანი ფურცხვანამე. მარინჯანი.

# შემოწირულობა

მოქალაქე რედაქტორო!

ქვემოთ მოყვანილი წერილი მამართე ს. რბინში მისწავრეს ქანთედა და თქვენის პატივდემულ ჟურნალის სასარგებლოდ შეკრებო შემოწირულებას, რასაც ამასთანვე გაახლებით სიითრ. კთხოეთ შემოწირულებათა საა ჟურნალმა გამაჯანდალოთ.

## ლიცენილი

ვისაც თავისი ს. შობლო არ დაუეწიან და სურვილი აქვს, შეძლების დეკანად ხელა შეუწიოს ჩვენს ჟურნულ-ხალხოსურ განათარებას, ხალხში შეტევის შეტანს, იმას ვსთხოვ, რითაც რაგუნათაც შეუძლიან ნითეიარად დაქმნარს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს საკამომელო თანხის გაძლეუებას, რთვარც უმარტობა და სქართედას ტერატორაილურ ატონომიის მომთხოვნ გამოეგმას.

პატივისცემით ერ. სიმ. ხაფთახი

შე მომწირ ვუღეთა ს ი ა :

1, ერ. სიმ. ხაფთახი	— — —	10 მ.
2, ნეს. ტოკაშვილი	— — —	5 მ.
3, პარ. შემართაშვილი	— — —	15 მ.
4, სერ. ლორია	— — —	5 მ.
5, ჩინკელი შან ცი სუ	— — —	5 მ.
6, ლავ. სოფერია	— — —	5 მ.
7, პარ. კოხალეიშვილი	— — —	15 მ.
8, გრ. დათუნაშვილი	— — —	5 მ.
9, ნიკო ქავაძე	— — —	2 მ.
10, შავლე კახეთელაძე	— — —	15 მ.
11, გეგმა ნიკ. ჟიშკარიანი	— — —	5 მ.
12, იასუე ჟანკელიძე	— — —	30 მ.
13, თ. ბაღანიაძე	— — —	10 მ.
14, გრ. შესია	— — —	15 მ.
15, მის. ჩახლაძე	— — —	5 მ.
16, პ. გ. ღვინტა	— — —	5 მ.
17, გიორგი ასათიანი	— — —	50 მ.
18, იასონ ხაფთახი	— — —	3 მ.
19, სოფიო ივანეს ასუდა ბაქრაძე	— — —	15 მ.
20, ლავ. ფად. ახაშიძე	— — —	20 მ.
21, ნიკ. ლავ. ახაშიძე	— — —	10 მ.
22, დომ. იარ. კაჭუა	— — —	5 მ.
23, შელაქ ვართანახანი	— — —	5 მ.
24, ილიო ბეს. კიხარია	— — —	50 მ.

სულ 310 მანათ.

გვრამე ღთვანამე — — 10 მ.  
 ელენე ალ. ბაბუაძისა — — 10 მ.  
 ბ. ერ. ხაფთახის და ფულის შემოწირულებათი და მადლობას ვუძღვნით. რედაქტორ.



### სპირიტი კონკი

საქართველოს ეროვნული კრება დღეს იწყება სხებშიდო თეატრში შუადღის 12 ს.

**ამირ-კავკ.** მთ ვროზა შესდგა. მთაგრობაში არჩეულნი არიან სოც.-დემოკრ.—ემ. გიგუქორი პრემიერი—თავმჯდ. მინისტრი შრომის და ვარეშე საქმეთა, ჩხეკელი—შინაგან საქმეთა, ტერგაზარიანი—სასურსათო; სოც.-რევ.: დ.დ. დონსკოი—სამხერდო-სახლავოს—ნერუჯევი—მიწათ მოქმედებისა; სოც.-ფედერ.—შალვა მეხსიშვილი სჯულმეტყველების—იუსტიციის, და—შნაკელები ოგანჯანოვი—შეწყალების, კარჩიანი—ფინანსთა; თათართგან ჯადაროვი—ვატობა-მრეწველობისა, ხან-ხოსიკი—სახალხო განათლებისა, მელიქ-ასლანოვი—მიმოსვლისა, და ხანსამელოვი—კანტროლისა.

**რუსეთში** მეურთავსებმა გაიმარჯვეს. შესდგა მთავრობა ლენინის მეთაურობით. მოსკოვის და პეტროგრადის ქუჩებზე სისხლი დაიღვარა.

**დამფუძნებელ კრების** არჩენილიდეს თავდება? გურულების გუნდმა კონცერტი გამართა ქართულ კლუბში, ხალხი ბლომად დაესწრო. კონცერს არა უშავდა, მაგრამ მომზადება აკლდათ. სასურველია, მერაღედ უფრო მომზადდებულნი გამოვიდნენ.

**მომღერალი** ქალი კლანდამე—აგასოვისა, რომელიც მიწვეულია ქართულ კლუბში, მამასახლისთა საბჭომ 200 მანეთით დააჯარიმა.

**მუხიკოსი** 5 სულხანიშვილი თბილისს ჩამოვიდა **განო გიგოშვილი**, თათრულ ოპერეტივების მთარგმნელი და სცენის მოყვარე, სამხედრო სამსახურიდან განათავისუფლეს. იგი გეთხოვს გამოცხადდეს, რომ ამ ეპოქაში თბილისშია (დადესწავის ქ. № 4) და თავი დასა სთხოვს, აცნობოს სად იმყოფება. გიგოშვილი ამ ჟამად სთარგმნის ოპერებს „ალი ვაშინჯავანს“

**დარია ახვლედიანი**სამ დასწერა პიესა „ქალი და არდილი“, წარმოადგენილ იქნება ამ მოკლე ხანში ახალგაზდა მგოსანის ი დაროშელის უცებ ლევიორ ვერი გაუფარდა და დაიჭრა. დაჭრილი სავადგყოფოშია **ეშრ, თეატრი და ცხოვრების** სასარგებლოდ ხარზინდან მივიღებ ცრ. ხადთსის მიერ შეკრებილი 810 მან. შემომწირველთა სია ამავე ნომერშია.

**ქართ. კლუბში** ქართ.დრამ. დასმა ლინობისთვის 16 წარმოადგინა ნ. შიუტაშვილის პიესა „სულიერი“ პიესა შინაარსიანია, საყურადღებო. მომზადება აკლდა—ხვალ გამომვრებენ.

**უცხო სიტყვათა ლექსიკონი** ჯერ კიდევ იბეჭდება. მალე გამოვა.

**პამიმა** „თ“ და ც.“—სა მოკლე ხანში დაიბეჭდება და ხელის მომწვეთ დაურთვდება.



მიიღება ხელის მოწერა თბილისში — ბაზრის ქ. № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახ. პრუდენიისა.

**ხალხში** მისამართი: თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“—იხსებ იმედუშვილს.

## ქართული კლუბი

1 კვირის პროგრამა

- კვირა**—სალამო წარმოდგენა.
- ორშაბათი**—ოპერა. მუსიკა
- სამშაბათი**—საოჯახო საღამო
- ოთხშაბ.**—სინემატოგრაფ. სიმეზ. ორკ.
- ხუთშაბ.**—ქართ. წარწო უკუკა. მუსიკა
- პარასკ.**—ოპერა.
- შაბ.**—საოჯახო საღამო
- კვირა** რუსული—წარმოდგენა.

### სახალხო სახლთნ არსებულ

**ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის** გამგეობას

განზრახვა იქვს ამ მოკლე ხანში გამართოს გამოსცდელი წამოდგება. ვისაცსურს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ წარმოდგენაში შეუძლიან ჩაეწვიონ წრის კანტორაში ყოველ დღე საღამოს 7—9 სათამდე. გინგილის პროსპექტი № 102.